ტერმინ „რელიგიის“ შესახებ

საჭიროა ორიოდე სიტყვის თქმა ტერმინ „რელიგიასა“ და მის განმარტებასთან დაკავშირებულ ნიშანდობლივობებზე, ჩამოვთვალოთ ისინი:

1) ციცერონი ზმნა Relegare – „ხელახლა შეკვრა“, კვლავ განსჯა, დაფიქსირება. ძირითადი განცდისეული პრედიკატები: რაიმესადმი განსაკუთრებული (გადატანითი მნიშვნელობები“) მოწიწება, ყურადღება და პატივისცემა, ღვთისმოსაობა.
2) ლაქტანციესი (ქრისტიანი მწერალი, მეოთხე საუკუნე), Religare - შეერთება, დაკავშირება, კრძალულებითი კავშირი ღმერთთან. რელიგიის არსთან ეს განმარტება უფრო ზუსტია: ღმერთისა და ადამიანის ერთიანობა. გადატანითი მნიშვნელობით „გულის სანახებში აღსრულებული ერთიანობა“.
3) ნეტარი ავგუსტინე - Relegare – „ხელახლა შეერთება“, ოდესღაც არსებული კავშირის აღდგენა-განახლება.

„ღმერთის ძიება“ იგივეა, რაც მისკენ სიყვარულით მისწრაფება, რათა სიმშვიდე იქნას მიღწეული – აი ძირითადი რეპრიზა, რომელიც რელიგიის სემანტიკაში თავსდება.

ამ ეტიმოლოგიური განმარტებებით კარგად იკვეთება ერთი არსებითი დებულება. მასში იგულისხმება ოდესღაც არსებული დამოკიდებულება ღმერთსა და ადამიანს შორის, რომელიც სავარაუდოდ, რაღაც მიზეზების გამო, დაკარგულია და ამჯერად მისკენ მისწრაფება და ამ კავშირის აღდგენა ისეთი ტიპის შინაგან სწრაფვებად ხორციელდება, რომლის ერთ სისტემაში გაერთიანება შესაძლებელია, რადგან ეს სწრაფვები ორიენტირებულნი არიან ერთი, ყოველისმომცველ ძალასთან კვლავ გამაერთიანებელი ვექტორის შექმნის მიმართულებით და ამ სისტემას ე. წ. რელიგია წარმოადგენს.

ქრისტიანობა გვაძლევს ამ კავშირის კონკრეტულ, გარკვეული კონფიგურაციის მქონე იმიჯს, რაც ძალზე ახლოა ამ ეტიმოლოგიურ განმარტებათა შინაარსთან. რომელიც ძველ აღთქმაში ღმერთსა და ადამიანს შორის კავშირის რაობასა და მისი დაკარგვის პერიპეტიების არცთუ დიდ, მაგრამ არსებით ნაწილ ეხება – ესენია: სამყაროს ეტაპობრივი შექმნა, დედამიწის წარმოშობა, ცოცხალი სამყაროს და ბოლოს ადამიანების – ადამის და ევას შექმნა. ღმერთმა თავის ქმნილებებს, აღჭურვა რა ისინი თავისუფალი ნებით, დაუწესა ერთადერთი შეზღუდვა და სამოსახლოდ გამორჩეული ადგილი – ედემი დაუდგინა.

ადამიანს მიეცა სხვადასხვანაირი კომპეტენციები (სახელდება, მოხმარება...), რომელთა შორის განსაკუთრებული იყო თავისუფალი ნება, რომლითაც მას შეეძლო

ალტერნატივებს შორის არჩევანი გაეკეთებინა. აი დაახლოებით ასეთი იყო ოდესღაც არსებული კავშირის გარემოებანი.

თავისთავად იკვეთება დაშვება, რომ რაც ღმერთმა ადამიანს მისცა, იმას თვითონაც ფლობდა, სხვანაირად ვერც მისცემდა. როცა რაციონალურ თვალსაზრისზეა ლაპარაკი, უკვე დგება იმის საჭიროება, რომ ამ კომპეტენციების ფლობის სივრცე აღმოვაჩინოთ არა გადმოცემისეულ ტექსტებში, არამედ ე.წ. პირველად რელიგიურ გამოცდილებაშიც, რომელიც, იუნგის აზრით თვით ადამიანის ფსიქოლოგიის პერიპეტიებში მოიძიება და ამ საზღვრებს არც გადადის.. მისი მიხედვით შეიძლება მსჯელობა იმაზე, თუ რამ განაპირობა რწმენათა და რიტუალთა სისტემის მეშვეობით წვდომილი რელიგიის, როგორც ზებუნებრივის და საკრალურის წარმოშობა (რელიგიის რონალდ ჯონსტოუნისეული განმარტებიდან).

ამ უნარის საფუძველზე ადამმა, იგემა რა ნაყოფი აკრძალული სიცოცხლისა და სიკვდილის ხიდან, ამით მიიღო მცდარი გადაწყვეტილება, რის შემდეგად დაშვებული იქნა მიწაზე, ანუ განიდევნა ედემური სამოთხიდან და მოხვდა ბოროტი ძალის მიერ მისაკუთრებულ სანახებში, ანუ ე. წ. „ამქვეყნიურ სამყოფელში“; როგორც ვიცით, მანამდე ადამის შეცდენის ბრალდებით სატანაც გადმოგდებული იქნა დედამიწაზე.

ასე გაწყდა ღმერთთან იდეალური კავშირი და დაიწყო ახალი სინამდვილე, რომლის საგნობრივ და დრო-სივრცულ შინაარსს მანამდე მხოლოდ „ღმერთის სინამდვილედ, სამყაროდ ემანაციის პროცესი – სამყაროსა და ადამიანის გაჩენა წარმოადგენდა“.

ეს ყველაფერი ცნობილია როგორც საღვთო გადმოცემის ყველაზე არსებითი შემადგენელი და მათ შორის ადამის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი – მისი შექმნა და ამ შექმნის ფაქტში მოაზრებული კავშირის გაწყვეტა მის შემქმნელ ღმერთთან.

ამ ფონზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რელიგიის ეტიმოლოგიაში გაჟღერებულია მისი მთავარი შინაარსი – ესაა ღმერთსა და ადამიანს შორის ადრე არსებული კავშირის აღდგენა; რელიგია გაგებულია როგორც შინაგან (ინტერნალურ) და გარეგან (ექსტერნალურ) ქმედებათა აღმძვრელი ინსტრუმენტი, რომელსაც, თავისი ფუნქციიდან გამომდინარე, დროებითი არსებობა უწერია. მისი არსებობის საჭიროება ქრება ამ ფუნქციის შესრულებისთანავე (კავშირის აღდგენისთანავე _ „ახალი მიწა და ახალი ცა“): ადამიანი ღმერთთან კავშირის აღდგენით სამოთხისეული ცხოვრების ეტაპზე გადავა და შესაბამისად, **რელიგიის აქტუალობაც დასრულდება**. დასასრულის თაობაზე მოთხრობილია იოანეს ღვთიურ ინსპირაციაში ბიბლის ფინალურ ნაწილში – „გამოცხადება“ – სადაც ეს დამაგვირგვინებელი ალგორითმი დეტალურად არის აღწერილი.